ხელშეკრულება № 148
ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე
საქონლის შესყიდვა

ქ. ზესტაფონი 6 **აგვისტო 2020 წელი**

ერთი მხრივ, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერია, წარმოდგენილი ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის, გიორგი გოგლიჩიძე სახით (შემდგომში - შემსყიდველი),
მისამართი: **ზესტაფონი, წერეთლის ქ. N11**
საიდენტიფიკაციო კოდი: **№230087045**
ტელეფონის ნომერი: **0 (492) 25 26 26**
საბანკო რეკვიზიტები: **სახელმწიფო ხაზინა**
ბანკის კოდი: **TRESGE22**
ანგარიშის ნომერი: **3001900000**

და მეორე მხრივ, შპს „ხარისხის გარანტი" წარმოდგენილი მისი დირექტორის ზურაბ ბოჭორიშვილი სახით (შემდგომში - მომწოდებელი),
მისამართი: ზესტაფონი, მეორე სვირი, მე-15, ჩიხი 4, N1
საიდენტიფიკაციო კოდი: №430036757;
ტელეფონის ნომერი :558 14 99 29;
საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი:**TBCBGE22**
ანგარიშის **ნომერი: GE44TB7826736050100002**
ელ.ფოსტა: zurabochorishvili27@mail.ru

შემდგომში თითოეული ცალ-ცალკე **წოდებული**, როგორც „მხარე", ხოლო ერთობლივად **წოდებულნი**, როგორც „მხარეები", „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 16[1] **მუხლის** პირველი პუნქტის, „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 4 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის 33-ე მუხლის პირველი პუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერი **NAT200009985** შედეგების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

მუხლი 2 ხელშეკრულების საგანი

1. ხელშეკრულების საგანი – **სახელმწიფო ბიუჯეტის (სოფლის მხარდამჭერი პროგრამით საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის N2752 განკარგულება)** სახსრებით საქონლის შესყიდვა კლასიფიკატორის კოდით: **31300000 - იზოლირებული მავთული და კაბელი**

მუხლი 3. შესყიდვის ობიექტი

1. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს ელექტრო კაბელების შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N 1 და N2-ის შესაბამისად.

მუხლი 4. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

1. საქონლის ფასი განისაზღვრება ლარებში.
2. საქონლის საერთო ღირებულება შეადგენს **7 455** (შვიდი ათას ოთხას ორმოცდათხუთმეტი) ლარი, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით, განბაჟებული.

მუხლი 5. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

1. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

ბ) განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

2. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მომწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

ბ) მომწოდებლის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მოსთხოვს მომწოდებელს ნაკლის აღმოფხვრა.

3. მომწოდებელი ვალდებულია:

ა) მიაწოდოს წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლით გათვალისწინებული საქონელი შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

ბ) მიწოდებული საქონელი უნდა იყოს ახალი, ექსპლუატაციაში არმყოფი, დეფექტის გარეშე, უნდა შეესაბამებოდეს სტანდარტებს, წუნის აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ აღნიშნული წუნი გამოწვეულია მომწოდებლის მიზეზით, მომწოდებელი ვალდებულია შეცვლა უზრუნველყოს საკუთარი ხარჯებით.

გ) საქონელი მოაწოდოს თავის საკუთარი ძალებით შემსყიდველთან შეთანხმებით წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

დ)განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს წერილობითი მოტივირებული პასუხი ყველა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საკითხზე;

ე) კეთილსინდისიერად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

4. მომწოდებელი უფლებამოსილია:

ა)მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულების საგნის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

მუხლი 6. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მოწოდებული საქონლის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს. საგარანტიო ვადა შეადგენს მიღება-ჩაბარების გაფორმებიდან 1 (ერთი) წელს.

2. მიმწოდებელი ვალდებულია თან იქონიოს და სასაქონლო ზედნადებთან ერთად წარმოადგინოს მიწოდებული მოწოდებული საქონლის ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტაცია - სერთიფიკატი.

3. წუნის აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ აღნიშნული წუნი გამოწვეულია მომწოდებლის მიზეზით, მომწოდებელი ვალდებულია შეცვლა უზრუნველყოს საკუთარი ხარჯებით.

მუხლი 7. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

1. საქონლის მოწოდების ვადა განისაზღვრება მხარეთა მიერ ხელშეკრულებაზე ხელისმოწერის დღიდან **2020** წლის **17 აგვისტოს ჩათვლით** (სამუშაო დღეებისა და სამუშაო საათების განმავლობაში შემსყიდველთან შეთანხმებით წინამდებარე დანართი N1-ში მითითებული ადგილმდებარეობების მიხედვით).

2. საქონლის მოწოდების ადგილია ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორია დანართი N1 ში მითითებული ადგილმდებარეობების მიხედვით.

მუხლი 8.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

1. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, როგორც საქონლის მიწოდების დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

2. მიმწოდებლის მომსახურების კონტროლს და ინსპექტირებას განახორციელებს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 05 მარტის N 43 258 ბრძანებით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.

მუხლი 9. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

1. საქონლის მიღება ფორმდება სასაქონლო ზედდებულით და მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

მუხლი 10. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები)

1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.
2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.
3. ანგარიშსწორება მოხდება ფაქტიურად მოწოდებული საქონლის სასაქონლო ზედნადებისა , მერიის ინსპექტირების ჯგუფის დასკვნის და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე 10 სამუშაო დღის განმავლობაში.
4. თუ ანგარიშსწორება უნდა შესრულდეს განსაზღვრულ დღეს და ეს დღე ან ანგარიშსწორების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს მომდევნო სამუშაო დღეს.

მუხლი 11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება და ცვლილებ(ებ)ის შეტანა

1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ, მაგრამ სამუშაოს ან/და მომსახურების შესრულების ან/და საქონლის მიწოდების ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 10 დღისა უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, 05 დღიან ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
2. ნებისმიერი შეტყობინება, წერილობითი ფორმით, მხარეთა მიერ ხელმოწერილი უნდა გაეგზავნოს მეორე მხარეს და ჩაბარდეს მისამართზე, რომელიც მითითებულია ხელშეკრულებაში.
3. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო, წარმოიშობა ხელშეკრულების პირობ(ებ)ის შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებ(ებ)ის შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია, ამ მუხლის „1." პუნქტის შესაბამისად.
4. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობითი ფორმით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.
5. ხელშეკრულების მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი რომელიმე ვალდებულების დარღვევა არ ჩაითვლება ბრალეულ დარღვევად, თუ აღნიშნული ვალდებულების შესრულების მიზნით, განსახორციელებელი ქმედება სავალდებულოდ საჭიროებს რომელიმე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ნებართვის, ლიცენზიის ან თანხმობის გაცემას, მაგრამ ადმინისტრაციული ორგანო არ ახდენს აღნიშნულზე ხელშეკრულების მხარის მოთხოვნის კანონმდებლობით დადგენილ ვადაში განხილვას ან უსაფუძვლოდ უარს ეტყვის ხელშეკრულების მხარეს ნებართვის, ლიცენზიის ან თანხმობის გაცემაზე;
6. წინამდებარე მუხლი არ მოიცავს ფორსმაჟორულ გარემოებებს და მათი რეგულირება ხდება სხვა მუხლით.

მუხლი 12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა (ხელშეკრულების შეწყვეტა)

1.ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში ან ვადის გადაცილების შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ჯამური ღირებულების **0,02 %** ოდენობით.

2. წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:
ა) მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.
2.1. ხელშეკრულება ვადამდე ადრე შეიძლება შეწყდეს:
ა) იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3 (სამ) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

ა.ბ. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
ა.გ. მიმწოდებელი ვიდრე არ აანაზღაურებს პირგასამტეხლოს, შემსყიდველს უფლება აქვს დააკავოს აღნიშნული თანხა და პირდაპირ მიმართოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.
ბ) შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას.
გ) მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.
3. მიმწოდებელი, ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში გადაიხდის ჯარიმას, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის 20(ოცი)%–ის ოდენობით.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან **2020 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.**

მუხლი 14. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 15. დაუძლეველი ძალა (ფორს-მაჟორი)

1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობით ან/და არაჯეროვნად შესრულებით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობა ან/და არაჯეროვანი შესრულება გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, ომი, კარანტინი, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, საზოგადოებრივი არეულობა, ცვლილებები კანონმდებლობაში და ა.შ.) ზეგავლენით, რომლის წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება მხარეების შესაძლებლობას აღემატებოდა. დაუძლეველი ძალით გამოწვეული მოვლენები ეწოდება მოვლენებს, რომელთა წარმოშობასა და განვითარებაზე მხარეებს ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ (ფორს-მაჟორი).
2. მხარე, რომელსაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების მიზეზად ფორს-მაჟორი მოჰყავს, ვალდებულია, დაუყოვნებლივ, მაგრამ ფორს-მაჟორის მოვლენის დადგომიდან არაუგვიანეს **5** (ხუთი) სამუშაო დღისა, წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ასეთი მოვლენის დადგომისა და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ; წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობით ან/და არაჯეროვნად შესრულებით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან. ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, შესაბამისმა მხარემ უნდა წარადგინოს ფორს-მაჟორის არსებობის

დამადასტურებელი დოკუმენტი, და დაასაბუთოს, რომ ფორს-მაჟორმა არსებითად ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაში.

მუხლი 16. სხვა პირობები

1. ხელშეკრულებაში შესატანი ნებისმიერი ცვლილება ან დამატება უნდა გაფორმდეს მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე ხელშეკრულების დანართის გაფორმების გზით. ამ პუნქტის შესაბამისად გაფორმებული ხელშეკრულების დანართი მხარეთა ხელმოწერისთანავე წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
2. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, რა დროსაც დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
3. ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
4. მხარეთა შორის წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება ურთიერთშეთანხმების გზით. მხარეთა მიერ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება საქართველოს სასამართლოს მეშვეობით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 2 (ორი) ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი - შემსყიდველთან და ერთი პირი - მიმწოდებელთან).
6. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

შემსყიდველი:
ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერი
გიორგი ვადაჭკორია

მიმწოდებელი:
შ.პ.ს. „ხარისხის გარანტი“
დირექტორი: ზურაბ ბოჭორიშვილი

Zestafoni Municipality
Digitally signed by Zestafoni Municipality
Date: 2020.08.06 18:17:51 +04'00'

Zuriko Botchorishvili
Digitally signed by Zuriko Botchorishvili
Date: 2020.08.06 18:10:34 +04'00'

დანართი1

				II სვირი	ფუთი	სანახშირე		ბოსლევი		ზედა საქარა	კლდეეი	
№	მასალების დასახელება	ზომის ერთ	რაოდენობა									
	313 კაბელი											
	კაბელი 3 ფაზიანი(3X16X10)	გრ/მ	600,00							600		0
	ელ.კაბელი ფ/ნ 2X16 კვ.	გ/მ	3650,00	300	150	400	700	500	1000		600	600
	კოდის ჯამი											3650
												0

Zuriko Botchorishvili

Digitally signed by Zuriko Botchorishvili
Date: 2020.07.29 11:51:27 +04'00'

დანართი 2

ფასების ცხრილი

№	მასალების დასახელება	ზომის ერთ	ჯამი ლარებში	ერთეულის ფასი	რაოდენობა	წარმოშობის ქვეყანა	მწარმოებელი	მარკა მოდელი (არსებობის შემთხვევაში)
	313 კაბელი							
	კაბელი 3 ფაზიანი(3X16X10)	გრ/მ	1980,00	3,30	600,00	საქართველო	NRG GEORGIA	YAVV (NAYY)3X16+1X10 (NRG)
	ელ.კაბელი ფ/ნ 2X16 კვ.	გ/მ	5475,00	1,50	3650,00	საქართველო	NRG GEORGIA	ABC 2X16
	კოდის ჯამი		**7455,00**					

შპს ხარისხის გარანტის დირექტორი

/ზ. ბოჭორიშვილი/

Zuriko Botchorishvili

Digitally signed by Zuriko Botchorishvili
Date: 2020.07.29 11:50:37 +04'00'

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

2020 წლის 6 აგვისტო

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერი და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 05 მარტის №43/258 ბრძანებით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის წევრები ვადასტურებთ რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტის თანახმად არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში შ.პ.ს. „ხარისხი გარანტი"-ს დირექტორთან ზურაბ ბოჭორიშვილთან 7455 ლარის ღირებულების საქონლის (ელექტრო კაბელები) შესყიდვასთან დაკავშირებით.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერი

გიორგი გოგლიჩიძე _____

1. ერემია სალაძე (სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი)_____
2. ნუგზარ ფერაძე (სამუშაო ჯგუფის წევრი)_____
3. გიორგი ორჯონიკიძე (სამუშაო ჯგუფის წევრი)_____
4. თამარ ლურსმანაშვილი (სამუშაო ჯგუფის წევრი)_____
5. თეიმურაზ ფერაძე (სამუშაო ჯგუფი წევრი)_____